



სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება

N1.1/90

ქ. თბილისი

17.07.2019 წ.

2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (მობილობის) პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 55-ე და 57-ე მუხლების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - დაწესებულებები) მიერ მობილობის წესით მისაღები სტუდენტების ადგილების რაოდენობის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდგომში - მართვის სისტემა) წარმოდგენის ვადა განისაზღვროს: **2019 წლის 18 ივლისიდან - 2019 წლის 25 ივლისის ჩათვლით.**
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტის ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის (შემდგომში - მობილობის) მსურველ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს: **2019 წლის 31 ივლისიდან - 2019 წლის 21 აგვისტოს 18.00 საათამდე.**
3. მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ დაწესებულებების სამართლებრივი აქტების პროექტების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა განისაზღვროს: **2019 წლის 27 აგვისტოდან - 2019 წლის 16 სექტემბრის ჩათვლით.**
4. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს, ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებ გვერდზე განთავსების გზით.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), კანონით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის - სალომე ჯაფარიძის 2019 წლის 17 ივლისის N961035 სამსახურებრივი ბარათი.

უფროსი

დimitრი ბერიძე